



აუდიტორული დასკვნა

შპს „ტელეარხი-25“-ის 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგების შესახებ

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს:

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ტელეარხი-25“-ის 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

მომსახურება ჩაატარა აუდიტორმა მალხაზ ქარცივაძემ, რომელიც ფლობს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2012 წლის მარტის 5-ში გაცემულ №6/141 აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატს (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-956891, SARAS-F-253809).

მომსახურება განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (08.06.2016წ.).

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა: წარმოდგენილი სააღრიცხვო დოკუმენტების სისრულესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია შპს „ტელეარხი-25“-ის ხელმძღვანელობა. ეს გულისხმობს აგრეთვე ხელმძღვანელობის მიერ შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი მომზადებისა და წარდგენისათვის.

აუდიტის პასუხისმგებლობა: ჩვენ გვევალეობდა ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება შპს „ტელეარხი-25“-ის ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცემა შესაბამისი დასკვნა.

აუდიტის მასშტაბი: აუდიტი შეეხო შპს „ტელეარხი-25“-ის საქმიანობის ფინანსურ შედეგებს 2016 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე საანგარიშგებო პერიოდს.

აუდიტი წარმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, აგრეთვე, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც მოითხოვს აუდიტის პროცესის იმგვარად წარმართვას, რომ იყოს დაცული ეთიკის ნორმები და მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებდა მტკიცებულებების შემოწმებას, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციისა და თანხების რეალობის დადგენას ტესტირების საფუძველზე, აგრეთვე ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების, მნიშვნელოვანი ბუღალტრული ოპერაციების სისწორის და წარმოდგენილი ანგარიშგების ერთობლიობის უტყუარობის შეფასებას.

ჩატარებული პროცედურები და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები გვაძლევს დასაბუთებულ საფუძველს დარწმუნებით გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება და გავცეთ დასკვნა.

დასკვნა: ჩვენი აზრით, ცალკეული გასწორებადი ხარვეზის გარდა, შპს „ტელეარხი-25“-ის მიერ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილი ბალანსი, აგრეთვე, ამავე თარიღით დასრულებული სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ყველა მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინებით, არ შეიცავს არსებით უზუსტობებს, უტყუარად და სამართლიანად ასახავს აუდიტირებული ობიექტის საერთო ფინანსურ მდგომარეობას.

შპს „ეკონომიკა-აუდიტი“
თარიღი: 24.05.2017წ.

ხელმოწერა:



დირექტორი
მალხაზ ქარცივაძე

რეგისტრაციის № 01/04 - 757 საწესდებო კაპიტალი 2000 ლარი

წარმოგიდგენთ **BN#29** ლიცენზიის მფლობელის შემდეგ ინფორმაციას:

1. მაუწყებლობის ენა ქართული
2. მაუწყებლობის გაერთიანების ტექნოლოგიები: თანამგზავრის საშუალებით, საკაბელო ოპერატორების, ინტერნეტისა და მაგთისატის საშუალებით და მოიცავს აჭარის რეგიონს, საქართველოსა და **TURQSAT**-ის და **AZERCOSMOS**-ის დაფარვის არეალს.

ა) **DVB-T/T2**

ბ) თანამგზავრული სისტემის **TURQSAT**-ის და **AZERCOSMOS**-ის მეშვეობით აჭარა, საქართველო და ასევე მისი დაფარვის არეალი.

გ) ქართული ინტერნეტ პროვაიდერი სილქნეტი, აგრეთვე **Myvide.ge**

დ) ბათუმი, აჭარა და საქართველო საკაბელო ოპერატორები, სიქლტვ, მაგთისატი

3. თანამგზავრული სისტემით, საკაბელო ოპერატორებით 2012 წლიდან, სილქნეტი 2014

წლიდან, **Myvide.ge** და მაგთისატი 2015 წლიდან.

4. მაუწყებლობის ყველა ტექნოლოგიების საშუალებით ღია უფასო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, **TURQSAT**-ის და **AZERCOSMOS**-ის გაერთიანების არეალში ღია უფასო.

ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელით ღია (უფასო)

თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურები უფასო

ინტერნეტი უფასო

მაუწყებლობის სხვა ტექნოლოგიები საკაბელო ოპერატორების მეშვეობით უფასო

5. მაუწყებლის კონტენტი მოიცავს საინფორმაციო გამოშვებას, მუსიკალური და სამედიცინო გადაცემები, სტუდია „რე“-ს ანალიტიკური ტოქ-შოუ, რეგიონალურ მაუწყებელთა ასოციაციის გადაცემა „მრავალკუთხედი“, რეგიონალური მაუწყებელთა ასოციაციის მიერ მოწოდებული სერიალი, გარდა ამისა არხი ახდენდა მედია-კავშირი „ობიექტივი“-ს რენტრანსლირებას 2016 წლის მარტის თვის ჩათვლით.

2016 წლის განმავლობაში „ტელეარხი 25“-ის ეთერში გადაიცემოდა შემდეგი პროგრამა:

- 5.1. საინფორმაციო გამოშვება „მაცნე“- დღეში სამჯერ, პირდაპირ ეთერში, ყოველდღე.
- 5.2. 14, 17 და 20 საათსა და 30 წუთზე, შაბათ-კვირის გარდა; გამოშვების ხანგრძლივობა 40-45 წუთია და ძირითადად მოიცავს აჭარის რეგიონის ახალ ამბებს, ასევე ეხმარება ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან ფაქტს.
- 5.3. თოქ-შოუ „დიალოგი“ - ყოველი კვირის ოთხსაბათსა და პარასკევს, პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა 21 საათსა და 30 წუთზე; .
- 5.4. 2016 წელს პროექტის ფარგლებში „ამბები მაღალმთიანეთიდან“ მზადდება ყოველდღიური სიუჟეტები, კვირაში ერთხელ კი, 5-საათიან „მაცნეში“ გადიოდა ამავე სახელწოდების ჩანართი, სადაც მოწვეულ სტუმართან ერთად ვიხილავდით აჭარის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების მოსახლეობისთვის საინტერესო საკითხებს;
- 5.5. ყოველკვირეული გადაცემა „სტუდია რე“ ეთერში გადიოდა ყოველ კვირას, 16:30. რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია „გარბის“ ყოველკვირეული ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“- კვირას 13:30
- 5.6. რეგიონულ, მაუწყებელთა ასოციაციის მიერ მოწოდებული სერიალი, „მარუსია“ ეთერში გადიოდა ყოველდღე, 17:30, შაბათ-კვირის გარდა;
- 5.7. მუსიკალური კლიპები და მუსიკალური გადაცემა „ბარ-10“ ყოველ დღე 11სთ.-დან 13:30 სთ-მდე, 23სთ-დან 01 სთ-მდე.
- 5.8. არასამეწარმეო მედია-კავშირი „ობიექტივი“-ს ფასიანი მაუწყებლობა ჩვენი ეთერის საშუალებით, რომელიც გადიოდა 08:30-დან 13:30, 14:30-დან 16:30, 18:00-დან 20:25, 22:30-დან 00:30, 01:30-05:30-მდე ყოველ დღე 2016 წლის 31 მარტამდე.
- 5.9. იუმორისტული გადაცემა „ხებერ-news“- შაბათს 20 სთ-ზე

6. შ.პ.ს. „ტელეარხი-25“ გაერთიანებულია რეგიონალურ ტელევიზიითა ასოციაციაში გარდა შიდა რეგულირების ქცევის ნორმებისა, იზიარებს და ხელს აწერს ჟურნალისტთა მიერ მიღებულ საერთო პრინციპებს, რომელიც „ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის“ სახელითაა ცნობილი. „ტელეარხი 25“-ისთვის სახელმძღვანელო ნორმებია: მიუკერძოებლობა, ინფორმაციის სიზუსტე, ოპერატიულობა, ეთნიკური, რელიგიური, გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვა.

დამოუკიდებელი და ობიექტური სარედაქციო პოლიტიკა, ანგარიშგაღებულება საზოგადოების და მაყურებლის წინაშე, მიიღოს სანდო ინფორმაცია.

შ.პ.ს. „ტელეარხი-25“-ში მოქმედებს შიდამარგლაშენტირებელი საბჭო, რომელიც განიხილავს ეთერში გასულ მასალებთან დაკავშირებით შემოსულ შენიშვნებსა და საჩივრებს.

საბჭო შეიქმნა „ტელეარხი 25“-ის საკადრო ბაზაზე.

2016 წლის განმავლობაში თვითრეგულირების კომისიაში არ შემოსულა საჩივრები.

7. მაუწყებლის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს: რეკლამა, მორბენალი სტრიქონი, სამგლოვიარო განცხადება და მედია-კავშირი „ობიექტივი“-ს რენტრასლირებიდან მიღებული შემოსავალი. სხვა დაფინანსების წყარო აღნიშნულ კომპანიას არ გააჩნია და არ მოუღია სახელმწიფო სახსრებიდან რაიმე დაფინანსება.

8. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2002 წლიდან შეადგენს 208 000 (ორასრვაათასი) ლარს

რომელიც შედგება ქონებრივი შენატანის სახით. აღნიშნულ საწესდებო კაპიტალში დღემდე არ მომხდარა ცვლილებები. მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორებს არ გააჩნიათ საკუთრებაში ფასიანი ქაღალდები და არ ფლობენ საქართველოში ან საქართველოს ფარგლებს გარეთ სხვა კომპანიებში წილებს. შ.პ.ს. „ტელეარხი-25“-ის დამფუძნებლებს არ გააჩნიათ მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიები, აქციები და წილები, ასევე არ გააჩნიათ პერიოდული ბეჭდვითი გამომცემლობა და ასეთი გამომცემლობის საწესდებო კაპიტალში წილები და აქციები, არ ფლობენ საინფორმაციო სააგენტოებს და ასეთ სააგენტოებში წილს ან აქციებს, აგრეთვე არ ფლობენ სხვა საწარმოებს და ასეთ საწარმოებში აქციებსა და წილებს.

დირექტორი

მურთაზ ფრანგულაშვილი

